ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3040396

ნომერი: AR1468549

თარიღი : 04.01.2017

გაცემის თარიღი : 11.01.2017

გაცნობის თარიღი : 11.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსიძე , N 1 , (ნაკვ. 038/011) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ქურდიანი პ/ნ 01008018346
- თბილისი ტ.ტაბიძის ქ. N 41 ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01/12/2016 წლის №2974422 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 04/01/2017 წლის №AR1468549 განაცხადით მომართა ქეთევან ქურდიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 01/12/2016

წლის №2974422 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 01/12/2016 წლის №2974422 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ალექსიძის ქუჩა №1–ში, (ნაკვ. №038/011), შპს „ჯი დი გრუპის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.10.13.038.011) შეთანხმდა მრავალფუნქციური დანიშნულების შენობის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 1 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 01/12/2016 წლის №2974422 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ავტოფარეხის ფართობი ნაცვლად 1076,1 კვ.მ-ისა შეადგენს 1067,4 კვ.მ-ს, საზაფხულო ფართობი ნაცვლად 691,2 კვ.მ-ისა - 698,8 კვ.მ-ს, საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად 2389,8 კვ.მ-ისა - 2390 კვ.მ-ს, კომერციული ფართობი ნაცვლად 385,7 კვ.მ-ისა - 384,9კვ.მ-ს, საოფისე ფართობი ნაცვლად 803,4 კვ.მ-ისა - 803,9 კვ.მ-ს, საერთო ფართობი ნაცვლად 6067,9 კვ.მ-ისა - 6066,7 კვ.მ-ს.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01/12/2016 წლის №2974422 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოფარეხის ფართობი (კვ.მ).:1067,4, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 698,8, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2390, კომერციული ფართობი (კვ.მ).:384,9, საოფისე ფართობი (კვ.მ).: 803,9, საერთო ფართობი (კვ.მ).: 6066,7;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01/12/2016 წლის №2974422 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01/12/2016 წლის №2974422 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.